

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „ავერსი-ფარმა“ (შემდგომში – „დამკვეთი“), წარმოდგენილი სააფთიაქო ქსელის დირექტორის ეკატერინე ბურძენიძის (მინდობილობის სარეგისტრაციო ნომერი -----, ინდივიდუალური -----) სახით, და მეორეს მხრივ ----- (-----) (შემდგომში – „შემსრულებელი“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1 დამკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, დამკვეთის კუთვნილ ობიექტებზე, რომლის მისამართი განისაზღვრება კონკრეტულად დამკვეთის დროს, განახორციელოს ფასადის, ვიტრინების, კარისა და სარეკლამო ბანერების (ლაითბოქსებისა და ჯვრების), გარე ფასადზე განთავსებული კონდენციონერ(ებ)ის ბლოკ(ებ)ის და გარე კამერების, ასევე, ახლად გახსნილი აფთიაქის ფასადის სრული წმენდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (შემდგომში მომსახურება).

2. ხელშეკრულების ღირებულება და ანაზღაურების პირობები

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი მომსახურების ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს, ხოლო მხოლოდ სარეკლამო ბანერების წმენდის ღირებულებაა ----- (-----) ლარი.

2.2 გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად, შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის ინვოისის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის, ვადაში უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

2.3 იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას, შემსრულებელი ვალდებული გახდება გადაიხადოს დ.დ.გ, მაშინ მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტში აღნიშნულ თანხაში შედის შემსრულებლის მიერ სახელმწიფოს სასარგებლოდ გადასახდელი დ.დ.გ-ც.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება შეასრულოს სრულად, ჯეროვნად და ხარისხიანად.

3.2 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას გაწმინდოს ვიტრინები – თვეში 2-ჯერ გარედან და თვეში 1-ჯერ შიგნიდან, კარი – თვეში 2-ჯერ ორივე მხრიდან, სარეკლამო ბანერები (ლაითბოქსებისა და ჯვრების) – თვეში 2-ჯერ, გარე ფასადზე განთავსებული კონდენციონერ(ებ)ის ბლოკ(ებ)ი და გარე კამერები – თვეში 1-ჯერ, ფასადის წმენდა თვეში - 2 -ჯერ და ახლად გახსნილი აფთიაქის ფასადის სრული წმენდა - უსასყიდლოდ.

3.3 სამუშაოების წარმოებისას არ დააზიანოს ვიტრინები და სარეკლამო ბანერები, წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთარი ძალებითა და სახსრებით გამოასწოროს დაზიანება.

3.4 ობიექტზე სამუშაოების წარმოებისას დაიცვას სანიტარული და უსაფრთხოების ნორმები. აღნიშნული ნორმების დარღვევის შედეგად, მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში შემსრულებელს ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

3.5 უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს მაღალი ხარისხი (მაქსიმალური ბრწყინვალება და ბზინვარება) და დროული შესრულება. შესრულებულ სამუშაოებზე ყოველთვიურად გააფორმოს დამკვეთთან მიღება-ჩაბარების აქტი, მიღება-ჩაბარების აქტის არარსებობის შემთხვევაში შემსრულებელს არ აუნაზღაურდება შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

3.6 შემსრულებელს უფლება აქვს მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება.

3.7 დამკვეთი ვალდებულია, განახორციელოს ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ვადაში.

3.8 დამკვეთი უფლებამოსილია, დაესწროს მომსახურების გაწევის უზრუნველყოფის პროცესს, გააკეთოს მითითებები, რომლებიც სავალდებულოა შემსრულებლისათვის.

3.9 დამკვეთი უფლებამოსილია, არ აუნაზღაუროს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტზე გასაწევი მომსახურების ღირებულება, იმ შემთხვევაში თუ შემსრულებელი არ განახორცილებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული რაოდენობით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხით.

3.10 შეუქმნას ხელსაყრელი პირობები შემსრულებლის წარმომადგენელს სამუშაოს შესრულებაში (ჟალუზის გახსნა, დახლების გადაადგილება და სხვა).

3.11 შესრულებულ სამუშაოზე აუცილებელია მოხდეს ორივე მხრიდან ხელმოწერა თანდართული ცხრილის მიხედვით:

ავერსის სააფთიაქო ქსელი

დასუფთავების კომპანია

		2-ჯერ	1-ჯერ	2-ჯერ	2-ჯერ	2-ჯერ	1-ჯერ	1-ჯერ			
აფთიაქის ნომერი	აფთიაქის დასახელება (მისამართი)	წმენდის თარიღი	მინის ვიტრინები	მინის ვიტრინები	სარეკლამო აბრა	სარეკლამო ჯვარი	კარი	კონდენციონერის ბლოკი	გარე კამრები	დამკვეთის ხელმოწერა	შემსრულებლის ხელმოწერა
			გარედან	შიგნიდან		ორივე მხრიდან	ორივე მხრიდან				

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში.

4.2 თუ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს ერთი თვისა, რომელიმე მხარე წერილობით არ განაცხადებს ვადის გასვლასთან ერთად სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე, წინამდებარე სახელშეკრულებო ურთიერთობა გაგრძელდება კიდევ ერთი წლის ვადით და იმავე პირობებით. სახელშეკრულებო ურთიერთობის ვადის ყოველი შემდგომი გაგრძელება ხდება ამ პუნქტით დადგენილი წესით.

4.3 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე ადრე შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:
 - მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით;
 - დამკვეთის ინიციატივით, შემსრულებლისათვის ერთი თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.
 - შემსრულებლის ინიციატივით, დამკვეთისათვის წინასწარ სამი თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

4.4 იმ შემთხვევაში თუ შემსრულებელი არღვევს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რომელიმე ვალდებულებას, დამკვეთი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, შემსრულებლისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის/არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

5.2 დამკვეთს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება შემსრულებლის მიერ გასაწევი სამუშაოს შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ან/და ზარალის ანაზღაურება, ხოლო ასეთ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი ან/და ზარალი.

- 5.3 შემსრულებლის წარმომადგენლის მიზეზით სამუშაოს შესრულების პერიოდში დამკვეთის ობიექტის (მინის, ფასადის, რეკლამისა და ა.შ.) დაზიანების შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია, აღმოფხვრას მიყენებული ზიანი 2 დღის განმავლობაში საკუთარი სახსრებით, წინააღმდეგ შემთხვევაში დამკვეთს უფლება აქვს, მოსთხოვოს შემსრულებელს და ასეთ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია, გადაიხადოს ჯარიმა, მიყენებული ზიანის პროპორციულად.
- 5.4 იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება მესამე პირების მხრიდან რაიმე სახის ხელშეშლას, რომელიც შეაფერხებს შემსრულებლის მიერ შესასრულებელ სამუშაოებს, შემსრულებელი აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს დამკვეთს, ხოლო გაცდენილი დღეები შემსრულებელს ვადაგადაცილებაში არ ჩაეთვლება.
- 5.5 იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე რაიმე ფორმით შესთავაზებს დამკვეთის თანამშრომელს საჩუქარს/წახალისებას, რათა თანამშრომელმა მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სტიმულირება, წინააღმდეგ ან ამ მომსახურების შესყიდვა, დამკვეთი უფლებას იტოვებს მოითხოვოს და ამ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა ხელშეკრულების სრული ღირებულების 50%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 000 ლარი.

6. ფორს-მაჟორი

- 6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრული შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებათა ზემოქმედების შედეგებით. ასეთი გარემოების დასტურს წარმოადგენს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი.
- 6.2 მხარე, რომლისთვისაც წინამდებარე ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი გახდა დაუძლეველი ძალის გარემოებათა წარმოქმნის შედეგად, ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს 3 (სამი) დღის განმავლობაში მათი წარმოქმნის დღიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უფლება ადარ ექნება მიუთითოს ამგვარ გარემოებებზე, როგორც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან განმათავისუფლებელ გარემოებაზე.
- 6.3 დაუძლეველი ძალის გარემოებათა დადგომისას მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევა იმ დროით, რომლის განმავლობაშიც მოქმედებდა ეს გარემოებები.

7. კონფიდენციალურობა

- 7.1 მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საკუთრებას, არ გახადონ მესამე პირთათვის ცნობილი ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ითვლება კონფიდენციალურად და მხარეთათვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში.
- 7.2 ვალდებულია კონფიდენციალურობის შესახებ ძალაში რჩება ხელშეკრულების მოშლის/შეწყვეტის შემდეგაც.

8. განსაკუთრებული პირობა

- 8.1 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით შემსრულებელი/გამყიდველი ადასტურებს, რომ ის არ წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში, ოფშორში რეგისტრირებულ პირს, სამემოსავლო გადასახადისაგან/მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებულ პირს (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა), მიკრო ბიზნესის სტატუსის მატარებელ პირს, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული პირს ან/და სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მქონე პირს. შემსრულებელი ადასტურებს, რომ აღნიშნული ინფორმაცია უტყუარია. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში აღმოჩნდება, რომ

შემსრულებელი ზემოაღნიშნული რომელიმე სტატუსის მქონე პირია ან გახდება, რის გამოც დამკვეთს მიადგება მატერიალური ზიანი/ზარალი (მათ შორის საგადასახადო ჯარიმის/სანქციის დაკისრება, გადახდილი თანხის ხარჯებიდან ამოღება და ა.შ.), შემსრულებელი იღებს ვალდებულებას ანაზღაუროს აღნიშნული ზიანი/ზარალი სრული მოცულობით დამკვეთის წერილობითი მოთხოვნიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

9. დავის გადაწყვეტა

- 9.1 ყველა დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობისას დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 9.2 ყველა იმ შემთხვევაში, რაც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

10. დასკვნითი დებულებები

- 10.1 ყველა ცვლილება, დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ხორციელდება წერილობით, ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის შემდეგ და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 10.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. მხარეებისათვის თითო ეგზემპლარი.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი:

შპს „ავერსი-ფარმა“

მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. #148

ს/კ 211386695

სს „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი: BAGAGE22

ა/ა GE06BG000000122932100

შემსრულებელი:

მის: -----

ბ.კ: -----

ა/ა: -----

სააფთიაქო ქსელის დირექტორი:

_____/ე.ბურძენიძე/

_____/-----/